პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 თებერვალი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 35 (9702) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1988 წლის 17 თებერვალს მუშაობა დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა. პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. პლენუმის განსახილველად შეტანილია საკითხი „საშუალო და უმაღლესი სკოლების გარდაქმნის მიმდინარეობა და მისი განხორციელებისათვის პარტიის ამოცანები". ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა.

სხდომაზე მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ: ამხანაგები ვ. ი. სიტნიკოვი — სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ფ. ტ. მორგუნი — უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. მ. ერშოვა — ქ. პერმის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის საწარმოო გაერთიანების გამმართველი, ვ. ი. მირონენკო — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ტ. საიკინი — მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ვ. ა. კოპტიუგი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე, კ. მ. ბაგიროვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კ. გ. ვაინო — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გ. ა. იაგოდინი — სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, ვ. ს. შევჩენკო — უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ნ. ა. ნაზარბაევი — ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. გ. კოლესნიკოვი — სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის მინისტრი, გ. მ. მარკოვი — სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ი. ფ. სოლოვიოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ე. სოკოლოვი — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ვ. ვლასოვი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯ. ი. პატიაშვილი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. ლოგუნოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, გ. ი. უსმანოვი — სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

18 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ქალთა ტურნირი

ორი გამარჯვებული

მაგრამ მთავარი კითხვა უპასუხოდ დარჩა

წყალტუბოს საკონცერტო დარბაზ „ივერიაში" ახლა დროებით, სულ სამი დღით შეწყდა ჭადრაკის გულშემატკივართა ვნებათაღელვა — დასრულდა პრეტენდენტ ქალთა ორწრიანი ტურნირი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძის მეტოქე უნდა დაესახელებინა. ტურნირი კი დასრულდა, მაგრამ მან ჯერჯერობით ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი. საქმე ისაა, რომ ორმა მოჭადრაკემ, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონმა ნანა იოსელიანმა და მსოფლიო პირველობის წინა მატჩის მონაწილემ ელენა ახმილოვსკაიამ 10-10 ქულა დააგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს.

ორივე გამარჯვებულმა წყალტუბოში ძლიერად ჩაატარა მთელი შეჯიბრება და ღირსეულადაც მოიპოვეს წარმატება.

ტურნირმა ცხადად დაგვანახვა, რომ მართლაც უხეირო სისტემით მიმდინარეობს პრეტენდენტ ქალთა შეჯიბრებები, თორემ როგორ შეიძლება ასეთი მაღალი დონის ტურნირში, ამდენი უმაღლესი კლასის მოჭადრაკის პაექრობაში მხოლოდ ერთი ადგილი წყვეტდეს ყველაფერს. და თუ წინა ციკლში ჩატარებულმა ამგვარმა ტურნირმა არ მოითხოვა (აქვე ვიტყვით, რომ სრულიად შემთხვევით) დამატებითი, ასე ვთქვათ, ფინალური მატჩი, ამჯერად ასეთი ორთაბრძოლის დანიშვნა აუცილებელი გახდა. მაგრამ ამ შეჯიბრებამ ისეთი ნერვული დაძაბულობა მოითხოვა გამარჯვებულთაგან, რომ მართლაც ცოტაა მათთვის სამდღიანი დასვენება.

ასეა თუ ისე, იოსელიანსა და ახმილოვსკაიას ისღა დარჩენიათ, ამ მეტად მცირე დროში თან დაისვენონ, თანაც აღიდგინონ ნერვული და ფიზიკური ენერგია და სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ დამატებით მატჩს, რომელშიც 6 პარტია უნდა გათამაშდეს.

ახლა კი ორიოდე სიტყვით ბოლო, XIV ტურში გამართული ორთაბრძოლების შესახებ.

ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ბრუსტმან-ახმილოვსკაიას და იოსელიან—ალექსანდრიას შეხვედრები იყო.

იხ. მე-3 გვ.

8 მოკრივე — პროფკავშირების ნაკრებში

ეს ცნობა იაროსლავლიდან მივიღეთ. იუნიორ მოკრივეთა პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს პირველობაზე, საქართველოს წარგზავნილებმა, მოძმე რესპუბლიკების 230 მოკრივეთა შორის ორი მეორე და ამდენივე მესამე ადგილი მოიპოვეს, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კი ჩვენ ნაკრებს მესამე ადგილი ხვდა წილად.

გაგაცნობთ პრიზიორებს ჩვენი რესპუბლიკიდან. ესენი არიან: „ვერცხლის" პრიზიორები ვაგიფ აბასოვი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი (63,5 კგ); ალბერტ ოჩიგავა — თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი (71), „ბრინჯაოს" პრიზიორები: ზურაბ ფალიანი — მესტიის № 1 სკოლის მოსწავლე (71); გოჩა მუშკუდიანი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი (67).

ამ მოკრივეების გარდა პროფკავშირების ნაკრებ გუნდში, რომელიც სსრ კავშირის პირველობისათვის ემზადება, საქართველოს კიდევ ოთხი წარმომადგენელია შეყვანილი.



შაბათს, 20 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო ცირკი კვლავ უმასპინძლებს ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე ქალაქებისა და სოფლების ნაკრები გუნდების რესპუბლიკურ პირველობას. სარბიელზე ამჯერად „გუნდი გამოვა. ერთმანეთს შეხვდებიან: თბილისისა და რუსთავის; ქუთაისისა და წყნეთის; წილკანისა (მცხეთა) და ფცას (ქარელი) საუკეთესო ფალავნები. შეჯიბრება, როგორც ყოველთვის, დაიწყება 12 საათზე.

ზაურ ივანაშვილი მეორე ადგილზეა

ვესტეროსი (შვეცია). აქ დამთავრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 16 ქვეყნის 152 ათლეტი მონაწილეობდა. საბჭოთა კავშირი შეჯიბრებაში მხოლოდ 8 ათლეტით იყო წარმოდგენილი. მათგან შვიდი გავიდა ფინალში, სადაც ხუთმა გაიმარჯვა.

48 კგ წონაში ოლეგ კუჩერენკომ (ვოროშილოვგრადი) სამხრეთკორეელი კიმ იუ კიუნი დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ, აგრეთვე, 52-ში ომსკელი ალექსანდრე იგნატენკო — დაამარცხა ფინელი ესა მურტოარო, 62-ში ლენინაკანელი არუტიკ რუბინიანი — აჯობა უნგრელ ენე ბოდის, 74-ში ჩიმკენტელი ბისოლტ დეციევი — მოუგო ჩეხ იაროსლავ ზემანს, 100-ში გროდნოელი ანატოლი ფედორენკო — დაამარცხა ჩეხი მაზარ დურანი.

მეორე ადგილები დაიკავეს ლენინაკანელმა მნაცაკან ისკანდარიანმა (68 კგ) და თბილისელმა ზაურ ივანაშვილმა (90 კგ). ორივე მოჭიდავემ მასპინძლებთან დათმო ბრძოლა. პირველს ლარს ლაგერბორგმა აჯობა, მეორეს — კრისტერ გულდენმა.

● ●

სპორტის ვეტერანთა საყურადღებოდ!

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით, 23 თებერვალს, 12 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის მანეჟში (წერეთლის გამზირი, 95-ა) ეწყობა საქართველოს პროფკავშირების სპორტის ვეტერანებთან შეხვედრა.

იმავე დღეს შეხვედრის მონაწილენი ეწვევიან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ისტორიის მუზეუმს.

აქედანვე ჩავუნერგოთ

რა დასამალია, სასკოლო რეფორმამ უამრავი თავსატეხი გაუჩინა ფიზკულტურის მასწავლებლებს, მეთოდისტებს, სპეციალისტებს, ვისაც მომავალი თაობის ფიზიკური სრულყოფისთვის ზრუნვა ევალება. ეს პრობლემები, რა თქმა უნდა, თვით დრომ მოიტანა. დღეს უკვე აღარავის აეჭვებს ის, რომ ფიზკულტურაში მარტო აკადემიური საათებით, ისიც კვირაში ორი გაკვეთილით შორს ვერ წავალთ. ეს არ არის საკმარისი დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენს მოზარდებს ასე მოეძალა უძრაობა, რომლის მიზეზებზე აქ აღარ შევჩერდებით.

ერთი სიტყვით, საჭიროა ერთიანი, მწყობრი სისტემა, როგორც საკლასო, ისე კლასგარეშე მეცადინეობაში. თუ ციფრობრივ მონაცემებს გადავხედავთ, ასეთ სურათს ვნახავთ: დღეისათვის, თურმე, მოსწავლეთა 56 პროცენტია ჩაბმული ფიზკულტურასა და სპორტში. უახლოეს ორ-სამ წელიწადში კი მომეცადინეთა რაოდენობა 80 პროცენტს უნდა შეადგენდეს.

საქმეში ჩახედულნი უყოყმანოდ დაგვეთანხმებიან, რომ სკოლას თუ შესაბამისი სპორტული ბაზა არ გააჩნია, ამის მიღწევა შეუძლებელია. მსხვილ ქალაქებში უკეთეს შემთხვევაში ჩვენს სკოლებს თითო სპორტდარბაზი აქვთ. ამ პრობლემების გადასაწყვეტად, სპეციალისტების აზრით, არც ორ-ორი დარბაზი იქნება საკმარისი. საჭიროა აგრეთვე სათანადო აღჭურვილობის სტადიონი კლასგარეშე მუშაობისა და სხვა ღონისძიებათა სუფთა ჰაერზე ჩასატარებლად. აღარაფერს ვამბობთ შტატიან სპეციალისტებზე და სათანადო ფინანსურ უზრუნველყოფაზე. ვინ უნდა გადაწყვიტოს ეს პრობლემები? სახალხო განათლების ორგანოები ამ საქმეს აშკარად ვერ გასწვდებიან.

სასკოლო სპორტული ბაზების დეფიციტი სხვა ორგანიზაციების ინვენტარისა და ბაზების გამოყენებით უნდა შეივსოს. სპორტნაგებობები ახლა სამეურნეო ანგარიშზე გადადიან, ასეთ პირობებშიც კი ალბათ ძალაში უნდა დავტოვოთ ის წესი, როცა სხვის სპორტულ ბაზებზე მოსწავლეთა კოლექტივებს დღის საათებში იჯარის ნახევარს ახდევინებენ. ამავე დროს, უნდა გაფართოვდეს ბავშვებისათვის შეღავათიან ფასებში სააბონემენტო ჯგუფებში მეცადინეობა.

დღეს არაფერს ვიშურებთ, რომ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები ფიზკულტურულ მეცადინეობაში ჩავაბათ, მაგრამ გამოდის, რომ ბევრს საამისოდ არც სურვილი აქვს და არც მოთხოვნილება, რატომ? იმიტომ, რომ თავის დროზე ჯეროვნად არავინ იზრუნა ბავშვებში სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. სპორტული ბაზებისაკენ უფრო იმას მიუწევს გული, ვინც ბავშვობაში აქტიურ სპორტს მისდევდა. თუ ამთავითვე არ ვაზიარეთ დღევანდელი თაობა ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს, გვერწმუნეთ, შემდეგ მათ ქამანდითაც ვეღარ მივიზიდავთ სარბიელისაკენ!

ჭაბუკ ცხენოსანთა შორის პროფკავშირების სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ პირად პირველობაში, რომელიც თბილისის იპოდრომის დახურულ მანეჟში ჩატარდა, პროგრამაში ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებთან ერთად კვლავ შეიტანეს ვოლტიჟირება, რომელიც მხედრისაგან ოსტატობას და კარგ ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს. ამ სურათებზე, რომელიც ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, ხშირად ვოლტიჟირებაში მხედართა ასპარეზობის მომენტებია ასახული. (წერილს ამ პირველობის შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

Советский спорт

ბევრს ვმუშაობთ, საქმე კი არ კეთდება

ფორმალიზმი. სამწუხაროდ, ამ მახინჯმა მოვლენამ, რომელსაც ახლა ყველგან ვებრძვით, არც ჩვენ, მასწავლებლებს აგვიქცია გვერდი. მაგრამ, აი, რა არის პარადოქსული: ჩვენს შემთხვევაში, სასკოლო ფიზკულტურის პრობლემების წრეში, ამის ახსნა უნდა ვეძებოთ ცხოვრებაში… ყველაზე კარგი იდეებისა და განზრახვების ხორცშესხმისკენ მისწრაფებაში.

ამოსავალი წერტილია ფიზიკურ კულტურასა და სპორტში სამეცადინოდ რაც შეიძლება მეტი მოსწავლის მიზიდვის მცდელობა. სწორი ამოცანაა. მაგრამ საკითხავი ესაა, რა გზებით ხორციელდება ეს იდეა? წლების განმავლობაში, ჩვენ, სკოლის მასწავლებლებს, ძალზე ბევრი შეჯიბრების, ღონისძიების ჩატარებას გვავალებენ. მათ რაოდენობას ზუსტად ვერც დაგასახელებთ. ტურნირებსა და სხვა ღონისძიებებს ატარებენ რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, რაიონული სპორტსკოლა, კომკავშირული ორგანიზაციები…

იხ. მე-4 გვ.

ეს უნდა ნახოთ...

დედაბუნება გვიხმობს

სულ ახლახან იყო: ჩვენებური ზამთრის ერთ მზიან დილას ალაზნის დინებას ოთხი ტურისტული ბაიდარა მიჰყვებოდა.

გამოგიტყდებით, შეგვშურდა იმ მოლაშქრეებისა. ჩვენ შორიდან ვჭვრეტდით მდინარისა და მისი შემოგარენის მედიდურ სილამაზეს, ისინი კი თითქოს ამ სილამაზეს შერწყმოდნენ, მის შუაგულში ტრიალებდნენ.

მათი ვინაობა ვიკითხეთ.

რუსეთიდან ჩამოსული ტურისტები იქნებიანო, — დინჯად, საქმის ცოდნით გვიპასუხეს.

რა იცით, იქნებ ჩვენებურები არიან? — მაინც დავეჭვდით.

შეიძლება. მაგრამ ჩვენებურები ზაფხულში არ იწუხებენ თავს და ამ ზამთარში რა მოიყვანდათო, — მოგვიგეს.

სრული სიმართლეა. აბა, გაიხსენეთ, სად და როდის შეხვედრიხართ მდინარის ტალღებს ადევნებულ ჩვენებურ ტურისტებს. ნაცნობ-მეგობრებში რომ გაიკითხოთ, ერთიორი თუ გეტყვით, როგორ არა, წყალზე ტურისტულ ლაშქრობაში მიმიღია მონაწილეობაო.

არადა, ამ სახეობის ტურიზმის დანერგვის მსურველებსა და მცირერიცხოვან ენთუზიასტებს უკვირთ: საქართველოში ამდენი მდინარეა, ნეტავ ვის ან რას ველოდებით, დროზე მივხედოთ ამ საქმეს. ზოგიერთი უფრო თავშეკავებულია: დიახ, ჩვენში მართლაც შესანიშნავი პირობებია საწყლოსნო ტურიზმის გასავითარებლად, მაგრამ, მოდით, ნუ ვიჩქარებთ, დავსხდეთ, მოვიფიქროთ, ვიმსჯელოთ. მოგეხსენებათ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა — ბევრ მდინარეს ძალზე რთული რელიეფი აქვს, სალაშქროდ სახიფათოა, ბევრგან კი წყალი ისეა დაბინძურებული...

რა თქმა უნდა, ორივე მხარე მართალია. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, წყალს ხუმრობა არ უყვარს, ნაჩქარევი გადაწყვეტილება დანაშაულის ტოლფასია და არავის ეპატიება, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამ „დასხდომა-მოფიქრებასაც“ ხომ უნდა დაადგეს საშველი? ერთი სიტყვით, დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ, ისედაც დიდი დრო დავკარგეთ — რაღა ჩვენი მდინარეები და რაღა კედელზე დაკიდებული სურათები — ვუყურებთ, მათი სილამაზით ვტკბებით, გასალონიერებელ-გასაჯანსაღებლად კი არ ვიყენებთ.

თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები კი ლამაზ პეიზაჟებსაც ხატავენ და მდინარეებზეც ხშირად მოგზაურობენ. არ დაგიმალავთ, თავდაპირველად ცოტა არ იყოს გაგვაკვირვა ამ ფაქტმა: ჩვენს დედაქალაქში ერთადერთი საწყლოსნო ტურიზმის სექცია აღმოვაჩინეთ იმ სასწავლებელში, სადაც მომავალი მხატვრები სწავლობენ — ისინი, ვინც ბუნების ჭვრეტისთვის არიან მოწოდებული. მალე გამოირკვა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი. ამ სექციის ჩამოყალიბების თაოსანი და სულისჩამდგმელი გახლავთ აკადემიის თანამშრომელი, ხის მხატვრული დამუშავების სასწავლო ლაბორატორიის გამგე, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული საწყლოსნო ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე არსენ აბრამიშვილი.

— კი, ბატონო, ბევრს ვილაპარაკებ, თუ გნებავთ, ქადაგად დავეცემი, ბარე ორ მაგნაირ ბლოკნოტს შეგავსებინებთ ჩანაწერებით, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, საქართველოს მდინარეებზე მოგზაურობის დროს ნანახ-განცდილზე საუბარი არ მიყვარს, მიძნელდება. იმიტომ მიძნელდება, რომ მუდამ უკმარისობის გრძნობა მეუფლება: რამდენიც უნდა ვილაპარაკო, მთავარს მაინც ვერ ვახერხებ — ვერც იმ სილამაზეს აგიწერთ, რაც მინახავს და ვერც იმ უსაზღვრო აღტაცების გრძნობას გადმოგცემთ, საქართველოს ულამაზეს ბუნებასთან სიახლოვით რომ განმიცდია. ეს უნდა ნახოთ, ეს უნდა იგრძნოთ და ჩემი სიტყვების სიმართლეში მაშინ დარწმუნდებით. — თითქოს ორი სიტყვა ეთქვასო, სულმოუთქმელად, ცოტა სევდიანად ამოილაპარაკა არსენ აბრამიშვილმა და უცბადვე დადუმდა.

● **როგორ დავიწყოთ, ბატონო არსენ, დაწყება ძნელი, თორემ სურვილი იცოცხლეთ...**

— მესმის. დაწყება მართლაც ძნელია. მით უმეტეს, თუ დამწყებმა არც კი იცის, ვის მიაკითხოს და სად. მაგრამ, მოგეხსენებათ, მთავარი მაინც მონდომებაა. თუმცა მონდომებაზე მთავარი ცურვის ცოდნაა. ცურვა თუ იცით, მობრძანდით, უარს არ გეტყვით. ჯერ, რა თქმა უნდა, იოლ მარშრუტს შეგირჩევთ. ფეხითა და ავტომობილის საბურავებით გაცვეთილ გზაშარას გადავუხვევთ, თქვენ რომ გვონიათ, კარგად იცნობთ, იმ ადგილებში მდინარის მდორე ტალღებზე ტურისტული ბაიდარით გაგასეირნებთ და ნახავთ, როგორი უცნაური, აღმოჩენის დარი გრძნობა დაგეუფლებათ: რამდენჯერ გინახავთ ეს მთაც, ეს ველიც, ეს ციხეც, მაგრამ თითქოს სხვაგან მოხვდითო, სხვა ხედები, სხვა სანახაობა გადაგეშლებათ თვალწინ. აბა, ამაზე უკეთესს რას ინატრებს ადამიანი, მით უმეტეს, თუ ხატვის ნიჭით არის დაჯილდოებული, ჰოდა, ამიტომაც ამყვნენ და ამომიდგნენ მხარში ჩვენი სტუდენტები, მომავალი მხატვრები. ბევრმა მათგანმა იმოგზაურა ცისფერი ბილიკებით, ბევრმა დაისვენა მშობლიური ბუნების წიაღში. ვინ მოთვლის, რამდენი ახალი ჩანაფიქრის სათავე ყოფილა იქ მიღებული შთაბეჭდილებები.



თბილისის სამხატვრო აკადემიის საწყლოსნო ტურიზმის სექციის აქტიურ წევრს ედიშერ წულაძეს (ცენტრში) „თანაგუნდელები“ ყურადღებით უსმენენ: ზუსტდება მორიგი მარშრუტი.

● **რამდენი წლისაა თქვენი სექცია?**

— პირველი ლაშქრობიდან ოცდახუთ წელიწადზე მეტი გავიდა. 1962 წელს აკადემიის პედაგოგებმა რევაზ ცუცქირიძემ, ოთარ ქოჩიაშვილმა და აწ განსვენებულმა გივი ფორჩხიძემ მთხოვეს უკრაინაში, მდინარე დესნაზე სამოგზაუროდ გავძღოლოდი. უსახსრობის გამო ეს შორეული ექსპედიცია ჩაგვეშალა, ამიტომ ისევ ალაზანს მივაშურეთ. აი, ამ ლაშქრობით ჩაეყარა საფუძველი სამხატვრო აკადემიის საწყლოსნო ტურიზმის სექციას. ჩვენმა მონათხრობმა, ფოტოსურათებმა, პრესაში გამოქვეყნებულმა ცნობებმა სხვებიც დააინტერესა და ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვმა იმატა.

● **თუ გიანგარიშიათ, სულ რამდენ სტუდენტს გასძღოლიხართ მდინარეებზე სამოგზაუროდ?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, არ მახსოვს, მე მგონი, 800-დან 1000-მდე, ოღონდ მარტო სტუდენტებს არა. აკი გითხარით, საწყლოსნო ლაშქრობებში პროფესორ-მასწავლებლებიც სიამოვნებით მონაწილეობენ. დღეს, მაგალითად, ცნობილი მოქანდაკის, აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გივი მიზანდარის გარეშე ჩვენი ლაშქრობა ვეღარ წარმოგვიდგენია.

● **მით უკეთესი. ერთი კოლექტივისთვის ეს ციფრი ურიგო არ გახლავთ.**

— რატომ ერთისთვის? ჩვენი სექციის თაოსნობით გამართულ ექსპედიციებში მონაწილეობა მიუღიათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის, ტელევიზიის, საფინანსო ტექნიკუმის, თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის წარმომადგენლებს.

● **ყველაზე მეტად რომელი ექსპედიცია დაგახსომდათ?**

— რომელი ერთი გავიხსენო? შვიდასოთხმოცკილომეტრიანი მოგზაურობა ტივით მტკვარზე ვარძიიდან კასპიის ზღვის სანაპირომდე, ტურისტული ბაიდარებით — თბილისიდან მინგეჩაურამდე, არაგვზე, თერგზე. სხვათა შორის, კოლის ნახევარკუნძულზეც ვყოფილვართ — მდინარე უმბაზე, აღმოსავლეთ ბაიკალისპირეთშიც — კანტეგირზე და შორეულ აღმოსავლეთშიც — კემაზე. ჩემთან ერთად ამ ურთულეს ლაშქრობებში მონაწილეობდნენ აკადემიის მაშინდელი სტუდენტები ილია ფესვიანიძე, როლანდ ზაუტაშვილი, თანგულ ორთოიძე და ილია კერესელიძე.

● **თქვენ რომ ჩამოთვალეთ, ისეთი ექსპედიციების მოწყობა იოლი არ გახლავთ. ვინ გეხმარებოდათ?**

— ჩვენი უშუალო ხელმძღვანელები და ქომაგები — აკადემიის რექტორატი, პარტბიურო, კომკავშირისა და პროფკავშირების კომიტეტები, ფიზაღზრდის კათედრა და, რა თქმა უნდა, ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭო.

● **უშუალო ხელმძღვანელები და ქომაგები სხვებსაც ჰყავთ, მაგრამ...**

— ვხვდები, რისი თქმაც გინდათ, მაგრამ კონკრეტულად რომ ვერავის დავადანაშაულებთ? ეს ჩვენი საერთო სატკივარია. ჩვენ, ვისაც ასეთი შესანიშნავი პირობები გვაქვს საწყლოსნო ტურიზმის გასავითარებლად, აშკარად გვჯობნიან მოსკოველები, ლენინგრადელები, რუსეთის ფედერაციის სხვა მხარეების წარმომადგენლები, ბალტიისპირელები, უკრაინელები და სხვებიც. როცა თბილა, ისინი ჩრდილოეთის დიდ მდინარეებზე ლაშქრობენ, აცივდება და ჩვენთან ჩამოდიან — ჩვენი მდინარეები ხომ არ იყინება. ახლა, მაგალითად, ალაზანს რომ დავუყევით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ საწყლოსნო ტურიზმის მოყვარულთა რამდენიმე ჯგუფს შევხვდით. ერთი სიტყვით, ჩვენი მადლიანი ბუნების სიკეთეს ვერ ვიყენებთ. სხვათა შორის, ეს თქვენი, ჟურნალისტების ბრალიც არის — სათანადო პროპაგანდას არ უწევთ მასობრივი გართობა-დასვენების ამ შესანიშნავ საშუალებას, რომელიც აკაჟებს და ახალისებს ადამიანს, აფართოებს მის გონებრივ თვალსაწიერს, აცნობს, აყვარებს თავისი ქვეყნის ბუნებას, აახლოებს ხალხთან, უმრავლებს ნაცნობ-მეგობრებს, უღვივებს სამშობლოს სიყვარულს. ერთ გარემოებაზე განსაკუთრებით გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: დღევანდელ ეკოლოგიურ სიტუაციაში საწყლოსნო ტურიზმის განვითარებას დიდი პრაქტიკული და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. თუ გვსურს ეკოლოგიურად კულტურული მოქალაქის აღზრდა, მას ჩვენი მდინარეებიც უნდა შევაყვაროთ. ამ საქმეში კი ყველაზე ერთგული მოკავშირე საწყლოსნო ტურიზმია.

ალაზანი: წინ მორიგი წინააღმდეგობაა.

არსენ აბრამიშვილის ფოტოები.

საუბარში არსენ აბრამიშვილმა შემოგვჩივლა: ექსპედიციიდან დაბრუნებულებს ზოგიერთი არამკითხე „ჭკუას გვარიგებს“: რა ძალა ვადგათ, რა თავს იკლავთ აქ ტყე-ღრე და წყალში სიარულით, რას იზამ, ვიცით, ისეთებიც არიან, სახლში ჯდომა რომ ურჩევნიათ ტურისტულ ლაშქრობებს, მაგრამ იმათ რა პასუხს ვაძლევთ, ვინც სიამოვნებით დაუყვებოდა ალაზანს, მტკვარს, რიონსა თუ ფშავის არაგვის ხეობას, მოინახულებდა კახეთის სანახებს, მესხეთ-ჯავახეთის კლდოვან ნაპირებს, ბორჯომის ხეობას, ჟინვალსა და ბარისახოს; ბევრგან პირველად დაადგამდა ფეხს, თვალს შეავლებდა უძველეს ტაძრებსა და ბებერ ციხეებს, გალაღდებოდა, დაისვენებდა... ასეთები ბევრნი არიან, უმრავლესობაა და სწორედ მათთვის უნდა გავისარჯოთ. ცხადია, არ უნდა ავჩქარდეთ, ვიფრთხილოთ (კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: წყალთან ხუმრობა არ შეიძლება!), მაგრამ ეს საქმე დროულად და აუცილებლად უნდა დავძრათ.

როგორც ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს სათანადო სამსახურის მუშაკებმა გვითხრეს, შარშან შემუშავდა საწყლოსნო ტურისტული მარშრუტი „ვანი—ფოთი“ მდინარე რიონზე. ამ მარშრუტით უკვე ორმა გეგმიურმა ჯგუფმა იმოგზაურა. ამავე მიზნით (გეგმიური ტურისტული მარშრუტის შესამუშავებლად) წელს ალაზანზეც მოეწყობა ექსპედიცია, აქვე ჩატარდება რესპუბლიკური სემინარი საწყლოსნო ტურიზმში.

გვაცნობეს, რომ სამხატვრო აკადემიის სექციის მსგავსად, ნაყოფიერად მუშაობს რუსთავის საქალაქო ტურისტულ კლუბში ჩამოყალიბებული საწყლოსნო ტურიზმის კომისია, გაგვახსენდა ქუთაისელ საწყლოსნო ტურიზმის მოყვარულთა ჯგუფიც. ერთი სიტყვით, ენთუზიასტები, ისინი, ვინც ამ სახეობის ტურიზმის მოყვარულებს შემოიკრებენ და ადგილებზე მუშაობას უხელმძღვანელებენ, ძნელი მოსაძებნი არ არიან. ახლა ყველაფერი საერთო გარჯაზეა დამოკიდებული.

თამაზ მიგრიაული.

ძალოსნობა და სიმაღლე

ძალოსნობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. საუკუნეების მიღმა, სანამ იგი თანამედროვე სახეს მიიღებდა, დღესასწაულებზე იმართებოდა შეჯიბრებები სხვადასხვა სიდიდის საგნების აწევაში, მოედნებს და თავშეყრის ადგილებში იყო სპეციალურად გამოკვეთილი დიდი ზომის ქვები, რასაც საჯილდაო ქვას უწოდებდნენ. სწორედ ამ ქვების აწევაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვისაც ძალა შესწევდა. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. დღეს ძალოსნობა ერთ-ერთი პოპულარული სპორტის სახეობაა მთელს მსოფლიოში.

საქართველოშიც ბევრი სახელოვანი ძალოსანი აღიზარდა, რომლებმაც ბევრჯერ ასახელეს ჩვენი ქვეყანა ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე. ასეთები იყვნენ მ. ელენტი, რ. ჩიმიშკიანი, დ. შანიძე და სხვები. მაგრამ ბოლო დროს ჩვენმა რესპუბლიკამ სპორტის ამ სახეობაში როგორღაც დათმო პოზიციები, რისი მიზეზიც, ჩემი აზრით, ის არის, რომ საჭირო ბაზებისა და კვალიფიციური მწვრთნელების სიმცირესთან ერთად ამ სახეობისადმი ინტერესიც განელდა. ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლები და მასწავლებლები, ზოგჯერ მედიცინის მუშაკებიც კი ხმამაღლა ამბობენ, თითქოს ძალოსნობაში ვარჯიში უარყოფით გავლენას ახდენდეს მოზარდის ორგანიზმზე და ხელს უშლიდეს სიმაღლეში ზრდას, რაც არასწორია.

ჩვენ ბევრი ვიცით მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ძალოსნობაში, რომელთა გიგანტური აღნაგობა ალტაცებას იწვევდა მნახველში. ასეთები იყვნენ ი. ვლასოვი, ლ. ჟაბოტინსკი, ვ. ალექსეევი და სხვა მრავალი.

ასეულობით მოზარდ ძალოსანთა სიმაღლეში ზრდა შეამოწმა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგემ დოცენტმა შოთა ბუაძემ. რის შედეგადაც გამოირკვა, რომ ძალოსნობაში ვარჯიში დადებით გავლენას ახდენს მოზარდის ფიზიკურ განვითარებასა და აღნაგობაზე. მე — როგორც ძალოსნობის მწვრთნელმა და ქომაგმა — შევამოწმე იმ ძალოსანთა სიმაღლეში ზრდა, რომლებიც 10-14 წლის ასაკიდან ჩვენთან ვარჯიშობდნენ და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს რესპუბლიკისა და საკავშირო მასშტაბით.

მოვიყვან ზოგიერთი მათგანის ფიზიკურ და სპორტულ მონაცემებს:

პ. კვიჟინაძე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, სიმაღლე —182 სმ, წონა — 110 კგ; გ. ჰიტაძე — სპორტის ოსტატი, სიმაღლე — 184 სმ, წონა — 110 კგ, ჭ. ტალახაძე — სპორტის ოსტატი, ახალგაზრდებში საკავშირო პირველობის ვერცხლის პრიზიორი. სიმაღლე — 180 სმ, წონა — 108 კგ; გ. ჩუბინიძე — სპორტის ოსტატი. სიმაღლე — 184 სმ, წონა — 107 კგ.

პერსპექტიული მოზარდი ძალოსნები: ზ. ხარაიშვილი სპორტსკოლების საკავშირო თამაშების ვერცხლის პრიზიორი, 1971 წელს დაბადებული, სიმაღლე 180 სმ, წონა 96 კგ; ზ. გვიანიძე დაბადებული 1973 წელს, სიმაღლე 184 სმ, წონა 84 კგ; გ. ზაბახიძე დაბადებული 1973 წელს, სიმაღლე 188 სმ, წონა 94 კგ.

ვფიქრობ, საკმარისია ამ ახალგაზრდა ძალოსანთა დასახელება, რომელთა სიმაღლე საკმაოდ სოლიდურია. დღეს მათი მშობლები ღიმილით იხსენებენ იმ დღეს, როდესაც ბავშვები ძალოსნობის დარბაზში მოყავდათ, ახლობლები კი აშინებდნენ, სიმაღლეში აღარ გაიზრდებიანო.

ვფიქრობ, კარგი იქნება თუ ძალოსნობის სპეციალისტებიც გამოეხმაურებიან ჩემს წერილს. ეს ხელს შეუწყობს იმ ცრურწმენის გაქარწყლებას, თითქოს ძალოსნობა ხელს უშლიდეს ბავშვის სიმაღლეში ზრდას.

ვაჟა კაპანაძე,
საჩხერის რაიონის სპორტსკოლის უფროსი მწვრთნელი ძალოსნობაში.

კალგარი-88

სიურპრიზი სიურპრიზს ენაცვლება

კალგარი. ჰოკეისტთა ტურნირზე ყოველ დღეს ახალი სიურპრიზი, მოულოდნელი შედეგი მოაქვს. 16 თებერვალს ოლიმპიადის მასპინძელმა — კანადამ დიდი გაჭირვებით მოუგო შვეიცარიას. თანაც პირველი პერიოდი ფრედ — 0:0 დამთავრდა. მეორე პერიოდში კანადელებმა ბოლოს და ბოლოს გაიტანეს გოლი, მაგრამ მაშინვე საპასუხო შაიბა მიიღეს. მხოლოდ ამის შემდეგ დაფაცურდნენ კანადელები მთელი ძალით და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:2. ადგილობრივი პრესა ერთობ კრიტიკულად აფასებს თავისი გუნდის გამოსვლას, თუმცა...

ვერც მსოფლიო ჩემპიონები — შვედები იწონებენ თავს იმ თამაშით, როგორსაც მათგან მოელოდნენ. პირველ ტურში, გახსოვთ ალბათ, მსოფლიო ჩემპიონმა დიდის გაჭირვებით დაამარცხა ფინეთი (2:1), მეორე ტურში კი მან საერთოდ დაკარგა ქულა, თანაც ქვეჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერთან — პოლონეთთან 1:1.

ამ დღეს მხოლოდ ერთ შეხვედრაში დაფიქსირდა დიდი ანგარიში. ფინელებმა პირწმინდად აჯობეს საფრანგეთის ნაკრებს — 10:1.

სპეციალისტების აღიარებით ჰოკეისტთა ოლიმპიური ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი, ყოველ შემთხვევაში სანახაობრივად, ჩეხოსლოვაკიისა და აშშ-ს გუნდების შეხვედრა იყო.

ამერიკელ სტუდენტთა გამარჯვება თითქოს გარდაუვალი იყო. მათ თითქმის მთელი მატჩის მანძილზე მიჰყავდათ ანგარიში, თანაც დიდი სხვაობით (3:0, 4:1), მაგრამ ჩეხების გამოცდილმა გუნდმა მაინც შესძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 7:5.

ორი ტურის შემდეგ ჯგუფური გათამაშების ცხრილები ასე გამოიყურება.

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
კანადა	2	2	0	0	5-2	4
შვეცია	2	1	1	0	14-3	3
ფინეთი	2	1	0	1	11-3	2
შვეიცარია	2	1	0	1	4-5	2
პოლონეთი	2	0	1	1	1-2	1
საფრანგეთი	2	0	0	2	3-23	0

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	2	2	0	0	13-1	4
გფრ	2	2	0	0	9-4	4
აშშ	2	1	0	1	15-13	2
ჩეხოსლოვაკია	2	1	0	1	8-7	2
ნორვეგია	2	0	0	2	3-12	0
ავსტრია	2	0	0	2	7-18	0

გუშინ მედლების პირველი კომპლექტი გაითამაშეს ფიგურისტებმა. სპორტულ წყვილებში პირველი ადგილი და ჩემპიონის მედლები მოიპოვეს მოსკოველებმა ეკატერინე გორდეევამ და სერგეი გრინკოვმა. მეორე ადგილებზეც საბჭოთა ფიგურისტები ელენე ვალოვა და ოლეგ ვასილიევი (ორივე — ლენინგრადი) გავიდნენ. მესამე ადგილი წილად ხვდა ამერიკელთა წყვილს (ეს, სხვათა შორის, აშშ-ს სპორტული დელეგაციის პირველი მედალია ამ ოლიმპიადაზე).

გაიმართა მოციგავე ქალთა პირველი ორი ცდა. აქ ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს გდრ-ის წარმომადგენლებმა. საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი ჯერჯერობით იულია ანტიპოვას აქვს — IV ადგილი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ალპიურ ორჭიდელთა (სწრაფდაშვება და სლალომი) შეჯიბრების პირველმა დღემ. ტრასაზე საინტერესო ბრძოლების სანახავად 40 ათასზე მეტი მაყურებელი მოვიდა. ლიდერობა ხელთ იგდო წლევანდელი ოლიმპიადის ჩემპიონმა შვეიცარიელმა პირმინ ცურბრიგენმა, რომელმაც სწრაფდაშვების ტრასაზე საუკეთესო დრო აჩვენა.

ყველასათვის მოულოდნელად სტარტზე არ გამოცხადდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ორჭიდელი, ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელი. როგორც ამბობენ, მას ერთ-ერთ სათხილამურო ფირმასთან კონფლიქტი მოსვლია. საბჭოთა სამთომოთხილამურეებმა სერგეი პეტრიკმა და კონსტანტინე ჩისტიაკოვმა სახეირო ვერაფერი აჩვენეს და მესამე ათეულის ბოლოში დამკვიდრდნენ.

მედლები

ოლიმპიადის ოთხი დღის შემდეგ

	ო.	ვ.	ბ.	სულ
სსრ კავშირი	3	3	1	7
გდრ	2	—	—	2
შვეიცარია	1	1	—	2
ფინეთი	1	—	1	2
ჩეხოსლოვაკია	—	1	1	2
ნიდერლანდები	—	1	—	1
გფრ	—	1	—	1
იაპონია	—	—	1	1
ნორვეგია	—	—	1	1
საფრანგეთი	—	—	1	1
აშშ	—	—	1	1

ოლიმპიადის დაწყების შემდეგ ოთხი დღის განმავლობაში მედლების შვიდი კომპლექტი გათამაშდა: 10 კილომეტრზე ქალთა თხილამურებით რბენაში, 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, ვაჟთა სწრაფდაშვებაში, ციგურებით რბენაში 500 მეტრზე ვაჟთა შორის, 30 კილომეტრზე ვაჟთა სათხილამურო რბოლაში, ვაჟთა ერთადგილიან ციგებში და ფიგურულ ციგურაობაში (სპორტული წყვილები). ზოგიერთ სახეობაში უამინდობის გამო შეჯიბრება გადაიდო, ამიტომ ოლიმპიური პროგრამა ნაწილობრივ დაირღვა.

ოლიმპიადის ტაბლო

15 თებერვალი. თხილამურებით რბენა 30 კმ (ვაჟები). 1. ა. პროკუროროვი (სსრ კავშირი) — 1:24.26,3; 2. ვ. სმირნოვი (სსრ კავშირი) 1:24.35,1; 3. ე. ულვანგი (ნორვეგია) — 1:25.11,6; 4. მ. დევიატიაროვი (სსრ კავშირი) — 1:25.31,3... 12. ი. ბურლაკოვი (სსრ კავშირი) — 1:28.02,4.

ერთადგილიანი ციგები (ვაჟები). 1. ი. მიულერი (გდრ) — 3.05,548; 2. გ. ხაკლი (გფრ) — 3.05,916; 3. ი. ხარჩენკო (სსრ კავშირი) — 3.06,274... 6. ს. დანილინი (სსრ კავშირი) — 3.07,098... 17. ვ. დუდინი (სსრ კავშირი) — 3.08,880.

სწრაფდაშვება (ვაჟები). 1. პ. ცურბრიგენი (შვეიცარია) — 1.59,63; 2. პ. მიულერი (შვეიცარია) — 2.00,14; 3. ფ. პიკარი (საფრანგეთი) — 2.01,24.

დღეს და ხვალ ოლიმპიადაზე

18 და 19 თებერვალს კალგარში მედლების კიდევ ოთხი კომპლექტი გათამაშდება.

18 თებერვალს ქალები პირველობას შეეცილებიან ერთმანეთს სწრაფდაშვებაში, ვაჟები კი 1000 მეტრზე ციგურაობაში.

პირველმა ოლიმპიურმა სტარტებმა გვიჩვენა, რომ პროგნოზი იშვიათი გამონაკლისის გარდა არ მართლდება, ამიტომ თავს ვიკავებთ წინასწარმეტყველებისაგან და დავასახელებთ მხოლოდ შარშანდელი სეზონის ფავორიტთა გვარებს. ესენი პირველ რიგში არიან შვეიცარიელი სამთომოთხილამურე ქალები მიქელა ფიჯინი და მარია ვალიზერი. საპრიზო ადგილებზე ფიქრი შეუძლიათ დასავლეთგერმანელ რეგინა მიოზენლეჰნერსა და მარინა კილს, აგრეთვე ავსტრიელ სილვია ედერსა და კანადელ ლორი გრეჰემს. საბჭოთა სპორტსმენებს ამ სახეობაში არავითარი შანსი არ გააჩნიათ.

ვაჟთა ციგურაობა 1.000 მეტრზე ერთადერთი ოლიმპიური დისციპლინაა, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებს არასდროს მოუგიათ. შარშან მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი ამ სახეობაში გაიყვეს ამერიკელმა ნიკ ტომეცმა და იაპონელმა იუკიხირო მიტანიმ.

19 თებერვალს მედლების კომპლექტებს გაითამაშებენ ვაჟები 15 კილომეტრზე სათხილამურო რბოლასა და ორადგილიანი ციგებით ასპარეზობაში.

ხუთშაბათსა და პარასკევს ცენტრალური ტელევიზია კალგარიდან რეპორტაჟებს გვთავაზობს:

18 თებერვალს 12.00 (1); 19.15 (2); 20.00 (1); 0.15 (1) საათზე, 19 თებერვალს კი 12.00 (1); 19.15 (2); 20.30 (1); 22.50 (1) საათზე.

ორი გამარჯვებული

მაგრამ მთავარი კითხვა უპასუხოდ დარჩა

დასასრული

პირველმა წყვილმა ესპანური პარტიის ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი გაითამაშა. დებიუტში ერთგვარ უპირატესობას პოლონეთის ჩემპიონი დაეუფლა, მაგრამ მალე მან, ცოტა არ იყოს, სარისკო გადაწყვეტილება მიიღო — მხედარი შესწირა მეტოქეს და შეეცადა პირდაპირი იერიში წამოეწყო. პრესცენტრში აზრები გაიყო. ნაწილი სპეციალისტებისა თვლიდა, რომ პოლონელი მოჭადრაკე შეძლებდა სერიოზული იერიშის წამოწყებას, სხვები კი ახმილოვსკაიას პოზიციას უფრო პერსპექტიულად თვლიდნენ. შემდგომში ბრუსტმანი შეფერხდა, ბრძოლის პასიური მანერა აირჩია და ინიციატივა მთლიანად მეტოქეს დაუთმო. თბილისელი დიდოსტატი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა და სამმათო ქსელში მოაქცია ბრუსტმანის მეფე. პოლონელმა მოჭადრაკემ წინააღმდეგობა შეწყვიტა.

იოსელიან—ალექსანდრიას შეხვედრაში სიცილიური დაცვის ნაიდორფის ვარიანტის წინააღმდეგ თეთრებმა შედარებით მშვიდი თამაში აირჩიეს. ალექსანდრიამ საკმაოდ სწრაფად გადაწყვიტა სადებიუტო პრობლემები, მაგრამ შემდეგ რამდენადმე პასიურად ითამაშა. თეთრებმა მეტოქის მეფის ფრთაზე აამოძრავეს პაიკები და საკმაოდ შეავიწროვეს შავი ფიგურები. იოსელიანი თანდათანობით აშკარა უპირატესობას დაეუფლა და ალექსანდრიამ საათი გააჩერა.

გაფრინდაშვილ—ლევიტინას პარტიაში ინიციატივა ლვოველმა დიდოსტატმა იგდო ხელში და პაიკიც მოიგო. ენდშპილში მან კიდევ უფრო გაზარდა თავისი მატერიალური უპირატესობა — მეორე პაიკიც აართვა მეტოქეს და გაიმარჯვა.

არახამია — ლევიტინას შეხვედრაში ნიმცოვიჩის დაცვის ლენინგრადული ვარიანტი გათამაშდა, რომელსაც ახალგაზრდა თბილისელმა დიდოსტატმა ამ ტურნირში უკვე რამდენჯერმე მიმართა და ვერც ერთხელ ვერ მიიღო უპირატესობა. მან ამჯერადაც დებიუტშივე დაკარგა პაიკი. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ლევიტინა კარგა ხნით დაუფლებოდა ინიციატივას. ლენინგრადელი დიდოსტატი ბოლომდე ზუსტად თამაშობდა, ენდშპილში კიდევ ერთი პაიკი მოიგო და არახამიამ გამარჯვება მიულოცა მეტოქეს.

ამრიგად, სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: I-II. ნანა იოსელიანი, ელენა ახმილოვსკაია — 10-10 ქულა, III-IV. ირინა ლევიტინა, მარტა ლიტინსკაია — 8-8, V. ნანა ალექსანდრია — 6,5, VI. აგნეშკა ბრუსტმანი — 5,5, VII. ნონა გაფრინდაშვილი — 4,5, VIII. ქეთევან არახამია — 3,5.

დავით ჟელიძე,
„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.

წყალტუბო.

საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების I ყრილობის წინ

„შევარდენი"

მშრომელთა სამსახურში

ეს იყო 1963 წელს. ჩვენი რესპუბლიკიდან ერთ-ერთ პირველებს სპორტული კლუბის საპატიო წოდება მიენიჭა თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის შრომით კოლექტივს. ავიამშენებლებმა სპორტკლუბის სახელიც შესაფერისი შეირჩიეს — „შევარდენი".

ის, რომ საწარმოს ფიზკულტურულმა კოლექტივმა სპორტკლუბის მოთხოვნების დონეს მიაღწია, თავისთავად დიდი გამარჯვება იყო. იქიდან მოყოლებული კიდევ უფრო გამრავლდა წარმატებები. კლუბმა დღემდე მოამზადა 3 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 65 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, 1120 პირველთანრიგოსანი, ათასობით მასობრივი თანრიგის სპორტსმენი და მშდ ნიშნოსანი.

ვესაუბრებით სპორტკლუბის თავმჯდომარეს, საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ყრილობის დელეგატს მერაბ **კვირიკაძეს:**

⊙ სპორტკლუბის ძირითადი ამოცანაა მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა კეთილდღეობაზე ზრუნვა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება. რას გვეტყვით, კონკრეტულად ამ მიმართებით გაწეულ მუშაობაზე?

— მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის პრაქტიკაში ვნერგავთ ყველასთვის ხელმისაწვდომ და ამავე დროს საინტერესო ღონისძიებებს. ესაა ჯანმრთელობის სპარტაკიადები, მასობრივი გარბენები, გამაჯანსაღებელი ჯგუფები, სპორტული ზეიმები, ტურიზმი... დიდი მოწონება დაიმსახურა შრომითი კოლექტივების მეგობრულმა თამაშებმა. ამ ღონისძიებას მიმოსვლით ვატარებთ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდასთან" და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტკლუბ „გამარჯვებასთან" ერთად.

⊙ გავიგეთ მეგობრულ თამაშებთან დაკავშირებით თქვენი სპორტკლუბი ახალი თაოსნობით გამოდისო...

— ალბათ თქვენ მხედველობაში გაქვთ მეგობრულ თამაშებში ჩვენი საწარმოს და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკების შეხვედრები. პირველი ასეთი შეხვედრა სულ მალე შედგება.

⊙ როგორია მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკუგება?

— თბილისში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი გვაქვს ავადმყოფობის ფურცლით სამუშაოს დღის გაცდენების მაჩვენებელში, ჩვენთან შრომისნაყოფიერებაც მაღალია და პროდუქციის ხარისხიც. მოკლედ ვიტყვი: იმ საამქროებში და უბნებზე, სადაც ფიზკულტურასა და სპორტში აქტიურად არიან ჩაბმულნი მუშები და მოსამსახურეები, როგორც წესი, შრომითი წარმატებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ამას ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ კოლექტივში გამართულ კრებებზე და თათბირებზე.

⊙ საქვეყნოდაა ცნობილი თქვენი მიღწევები დიდ სპორტში. რაც მთავარია, თვად ზრუნავთ რეზერვის აღზრდაზე.

— დიახ, ჩვენთან მუშაობს ტანვარჯიშში ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლა და ფეხბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლა. ორივე სკოლაში 700-მდე მოზარდი მეცადინეობს. გარდა ამისა, ჩვენთან როგორც ბავშვებისთვის, ისე მოზარდებისთვის სპორტის 25 სახეობაში მუშაობს სექციები. აქ აღიზარდნენ ტანმოვარჯიშეები, გუნდურ პირველობაში მსოფლიო ჩემპიონი ნინა დრონოვა, სსრ კავშირის სპარტაკიადის „ვერცხლის" პრიზიორები ანაიდა ბაბასიანი და პავლე ლეონტიევი, ჭაბუკთა I საკავშირო თამაშების ჩემპიონი ნუგზარ ღვინიაშვილი. სხვადასხვა დროს საქართველოსა და ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრები იყვნენ ოლგა ევსეევა, ელენა ბოგოლუბოვა, ლიუდმილა ლაპისტოვა, საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონია პაატა ჩხიკვაძე, ამჟამად სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კანდიდატია ლევან სისაური. კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდის ღირსებას იცავენ რამაზ გუდაძე, დავით აბრამიშვილი, ნიკოლოზ პაატაშვილი, ბესიკ ქართველიშვილი, ზურაბ ოქრომჭედლიშვილი და სხვ. ნაკრების წევრები, ცხადია, სპორტის სხვა სახეობებშიც გვყავს.



⊙ სპორტული მუშაობის მასობრიობა და საბოლოო შედეგები დიდადაა დამოკიდებული სპორტული ბაზების გამართულ მუშაობაზე და კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებაზე...

— ჩვენი სპორტული ბაზები მართლაც შეუფერხებლად მუშაობენ, მწვრთნელებს კი ისღა დარჩენიათ, თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინონ. შედეგებს მათგან მკაცრად ვითხოვთ.

⊙ როცა სპორტული ბაზები დატვირთული არ არის, მოსახლეობას თუ ემსახურებით?

— რამდენიმე ფაქტს მოვიტან და ყველაფერი ნათელი გახდება. სპორტკლუბთან მუშაობს 14 გამაჯანსაღებელი ფასიანი ჯგუფი და მოყვარულთა 4 კლუბი. მიკრორაიონის მოსახლეობის მომსახურებიდან და ფასიანი სპორტული სანახაობებიდან ჩვენმა შემოსავალმა შარშან 109 ათასამდე მანეთი შეადგინა, რაც დიდად ჭარბობს გეგმიურს.

⊙ როგორ ფიქრობთ, ბევრგან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ მუშაობას რა აფერხებს შრომით კოლექტივებში?

— დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისადმი ხელმძღვანელების დამოკიდებულებას, ფიზკულტურულ კოლექტივებში და სპორტულ კლუბებში მოძველდა მუშაობის ფორმები და მეთოდები, უფრო ღრმად უნდა გავერკვეთ მშრომელთა ინტერესებში, შევთავაზოთ ის, რაც მათ ყველაზე მეტად მოსწონთ. დაბოლოს, მინდა გითხრათ: მოგვაკლდა ინიციატივიანი მუშაკები...

ჩაიწერა ვახტანგ ბაქრაძემ.

ბევრს ვმუშაობთ, საქმე კი არ კეთდება

(დასასრული)

მაგალითისთვის ავიღოთ თუნდაც წლევანდელი სასწავლო წლის დასაწყისი. სექტემბერი. 3-6 — სპორტული თამაშების კვირეული; 7-13 — ფეხბურთის კვირეული; 14-20 — მორბენლის კვირეული; 26-27— ფეხბურთის საკავშირო დღე. ოქტომბერი. 4 — სპორტული თამაშების დღე; 4-11 — ჯანმრთელობის საკავშირო კვირეული; 18 — სპორტული თამაშების დღე და ა. შ. ყველაფერ ამას ემატება ტურნირები ახალგაზრდული გაზეთების პრიზებზე, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება, მინიფეხბურთსა და კალათბურთში ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის, სარაიონო სპარტაკიადები, სასკოლო შეჯიბრებები და კიდევ ბევრი სხვა. სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც რაოდენობა არ გადაიზრდება ხარისხში.

რა თქმა უნდა, შეიძლება შემომეკამათონ — მთავარია, რომ ბავშვები აქტიურად მონაწილეობენ სპორტულ ცხოვრებაშიო. მაგრამ, აბა დააკვირდით, რა გამოდის: ყველანაირი რანგის შეჯიბრებაში, სასკოლოთი დაწყებული და რესპუბლიკურით დამთავრებული, ყველას გამარჯვება უნდა. ეს ბუნებრივია. აქედან გამომდინარე, ყალიბდება გუნდები სკოლის საუკეთესო სპორტსმენებისგან, იმათგან, ვინც კარგადაა მომზადებული ფიზიკურად, ფლობს სათამაშო ჩვევებს. დღეს ისინი კალათბურთს ითამაშებენ, ხვალ — ფეხბურთს, ზეგ... მაგრამ ის, ვინც უფრო სუსტია? ის ხომ „თამაშგარე მდგომარეობაში“ რჩება. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ერთ მშვენიერ დღეს სკოლის საუკეთესო სპორტსმენებსაც ჰბეზრდებათ ყველაფერი.

ვფიქრობ, გამოსავალი სხვადასხვა გზით უნდა ვეძებოთ. ერთ-ერთი ყველაზე მთავარია შიდასასკოლო შეჯიბრებების რაოდენობის მკვეთრად გაზრდა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მივიზიდოთ პრაქტიკულად ყველა და არა მხოლოდ საუკეთესონი. ახლა ეს შეუძლებელია, შეჯიბრებების გრაფიკში „ფანჯარა“ არ არსებობს. თქვენ ალბათ იკითხავთ: აბა რა ვქნათ, თუ კალენდარი ისედაც გადატვირთულიაო? აქ უკვე მეორე გზას უნდა დავადგეთ.

დემოკრატიზაციის პროცესი დღეს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს. შეკითხვაზე, თუ როგორ მესმის იგი სკოლის მიმართებით, მე გიპასუხებდით: მეტი ნდობა გამოვუცხადოთ პედაგოგს. ზემოდან წამოსული მითითებები აუცილებელ შეჯიბრებებზე ხშირად ვერ აღწევს მიზანს. რატომ ხდება, რომ მოსწავლეთა სპორტული ასპარეზობები „ჩასათვლელ“ ღონისძიებად გადაიქცევა ხოლმე? გავიმეორებ — იმიტომ, რომ ასეთი შეჯიბრება ძალზე ბევრია და ჩნდება ისეთი გრძნობა, რომ ეს „სავალდებულოა“. რა იქნება, რომ, ვთქვათ, ათივე ტურნირი დავტოვოთ (ეს, რა თქმა უნდა, კარგი და საჭირო საქმეა), მაგრამ მასწავლებელს მივცეთ უფლება, თავისი შეხედულებით აირჩიოს მხოლოდ სამი? აღარ იქნებოდა არეულობა, ჩვენც და ბავშვებსაც გვეცოდინებოდა, რას ვთამაშობთ და რატომ ვთამაშობთ. უკეთესი იქნებოდა ორგანიზაცია, უფრო ადვილი იქნებოდა სასწავლო პროცესის დაგეგმვა.

კიდევ ერთი გზაა სამუშაოს ისეთი ფორმის უფრო ფართოდ გამოყენება, როგორიც არის ტურიზმი. კვირა დღეს ქალაქგარეთ ერთ გასვლას არანაკლები სიკეთე მოაქვს, ვიდრე, ვთქვათ, ერთ საფეხბურთო მატჩს. სხვათა შორის, იქ, ბუნებაში, ფეხბურთის თამაშიც შეიძლება და ფრენბურთისაც... ამასთან, თამაშში მონაწილეობის საშუალება ექნებათ არა მხოლოდ სკოლის სპორტის „ვარსკვლავებს“, არამედ სხვებსაც, უფრო სუსტებსაც. მაგრამ, გამაგებინეთ, როგორ შეიძლება ჩავატარო ტურისტული ლაშქრობა, როდესაც ყველა კვირა დღე დაკავებულია?

მე სავსებით ვეთანხმები ჩემი კოლეგის გ. ბერგერის აზრს, რომელიც მან „სოვეტსკი სპორტის“ ფურცლებზე გამოთქვა მეცადინეობის დაწყებამდე დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ჩატარების თაობაზე. ეს ღონისძიება თავს ნუ მოვიტყუებთ, და, ჯერჯერობით ისევ ფორმალურ ხასიათს ატარებს. მოსწავლეები სკოლაში კარგა ნასაუზმევი მოდიან. ტანსაცმელი, მით უმეტეს გოგონებს, ხელს უშლის ელემენტარული ვარჯიშების შესრულებაში. ირღვევა ესთეტიკური და ჰიგიენური ნორმები. მეტიც, ჩვენ ბავშვებს ზნეობრივ ზიანსაც ვაყენებთ, რადგანაც ვაჩვევთ ფორმალურობას საერთოდ და ფორმალურობას კერძოდ, ფიზკულტურაში. სხვაგვარად რომ მოვიქცეთ? სავსებით რეალურია (და სასარგებლოც) იმის მიღწევა, რომ ბავშვებს მივცეთ საშინაო დავალება — ისევე როგორც ფიზიკასა და ლიტერატურაში — ყოველდღიურად გააკეთონ დილის გამამხნევებელი ვარჯიში სახლში.

და კიდევ. კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის მუშაკები ძალზე მხნულად ადევნებენ თვალყურს, რომ ჩვენ ზუსტად შევასრულოთ ზემოდან დაშვებული „სპორტულ-ფიზკულტურული მითითებები“. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი თავიანთ ფუნქციებს მხოლოდ ამით განსაზღვრავენ. ნუთუ არ შეიძლება „შიშველი“ კონტროლიდან რეალურ დახმარებაზე ჰადასვლა? ეს ხომ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ხალხია. მათ მატჩის ჩატარებაც შეუძლიათ, თამაშიც და ზოგიერთი ტექნიკური ილეთის ჩვენებაც. ეს ჩვენთვისაც განტვირთვა იქნება და ბავშვებსაც უფრო გაუხარდებათ ასეთი ყურადღება.

ოღონდ არ იფიქროთ, რომ მე ვეძებდე ვინმეს, ვისაც შეიძლება ჩემი მოვალეობები გადავაბარო. დამიჯერეთ, ეს არ არის ზარმაცი პედაგოგის ცარიელი სიტყვები. თავად განსაჯეთ, მასწავლებელს არც ერთი თავისუფალი კვირა დღე არა აქვს.

ამას გარდა, ჩვენ ორშაბათს ისევ სკოლაში უნდა ვიყოთ და გაკვეთილები ჩავატაროთ. არადა, საჭიროა აღდგენა, ცოტა დასვენება სამუშაო კვირის შემდეგ, აუცილებელია ემოციური განტვირთვა. საბოლოოდ ასეთი რეჟიმი უარყოფითად მოქმედებს ისევ და ისევ თვითონ საბავშვო სპორტული ღონისძიების იდეაზე და აქვეითებს მის ეფექტურობას.

გადასაჭრელი პრობლემა ბევრი დაგროვდა. ვფიქრობ, არ ვაჭარბებ. გამოსავალი შეიძლება ვიპოვოთ, თუკი მოვძებნით მას, უფრო რეალურად და ყურადღებით შევხედავთ არსებულ ვითარებას. მაგრამ საჭიროა საქმისადმი შემოქმედებითი, გონივრული მიდგომა და, არ შემეშინდება გამეორებისა, მეტი ნდობა პედაგოგისადმი.

ნ. ურუშაძე,
37-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.

„სოვეტსკი სპორტი“, 17 თებერვალი, 1988 წ.

პირველი რაუნდი

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩებში სულ სხვა ემოციური განწყობილება სუფევს. სწორედ ამიტომ მეტოქეთა შანსები ფაქტიურად გათანაბრდა და ბრძოლა ყოველ შეხვედრაში უაღრესად მძაფრ ხასიათს ატარებს. ეს პირველ ყოვლისა გათამაშების ფორმულით უნდა ავხსნათ — ორმატჩიან სერიაში (შინ და სტუმრად) დამარცხებული საპრიზო ადგილზე გასვლის ყოველგვარ შანსს ჰკარგავს. რას იზამ, ასეთია ოლიმპიური სისტემის თავისებურება.

ოთხი მატჩი — ოთხი დრამატული სიუჟეტი. ვერც ერთმა გამარჯვებულმა სამქულიანზე უფრო დიდ უპირატესობას ვერ მიაღწია, თვით ცსკა-მაც კი. ამ ტურში სამი შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა, ერთი მასპინძლებმა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მესამე დამატებითი შეხვედრა შესაძლოა არც შედგეს.

ამ ცოტა ხნის წინათ მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. კრაულინმა თქვა: მეოთხედფინალში ყველა მეტოქეს ვინატრებთ თბილისის „დინამოს“ გარდაო. რას გულისხმობდა მწვრთნელი, ძნელი სათქმელია, მაგრამ კალათბურთში რომ არსებობს „უხერხული მეტოქის“ ცნება, ყველამ კარგად იცის. როგორც ჩანს კრაულინს ჩვენი გუნდი სწორედ ასეთ მეტოქედ მიაჩნია.

ასეა თუ ისე, სატურნირო მდგომარეობამ ერთმანეთს სწორედ ეს ორი კოლექტივი დაუპირისპირა. თანაც თბილისელები იმავე სატურნირო მდგომარეობის თანახმად უკეთეს პირობებში აღმოჩნდნენ: პირველ შეხვედრას მეტოქის მოედანზე ატარებდნენ, მეორეს და თუ საჭირო გახდა, მესამესაც — შინ გამართავენ. ესეც ჩვენებისთვის ერთგვარი ფსიქოლოგიური ავანსი იყო.

სსრ კავშირის
ჩემპიონატი კალათბურთში

მოსკოვის მატჩმა ა. კრაულინის ვარაუდი სავსებით გაამართლა. თბილისელები მთელი მატჩის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას (ტაიმი 12-ქულიანი სხვაობით მოიგეს 52:40). თამაშობდნენ აზრიანად, სოლიდურად და რაც მთავარია საიმედოდ.

და მაინც მატჩის ბედი, ჩვენის აზრით, შეხვედრის მიწურულს გადაწყდა. მაშინ, როცა ყველაფერი შეიძლება მომხდარიყო, თბილისელებმა დიდი ნებისყოფა, მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს და ძნელი საათნახევრიანი ბრძოლა სასურველი შედეგით დაამთავრეს.

საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე თბილისელები 4 ქულით იყვნენ დაწინაურებული — 91:87. მაგრამ ამ მომენტში მეხუთე პერსონალური შენიშვნა მიიღო ცენტრალურმა თავდამსხმელმა დერიუგინმა. მისი გასვლა თამაშიდან დიდი დანაკლისი გახლდათ, მით უფრო, რომ ადრე, მეორე ნახევრის დასაწყისში მოედანი დატოვა ოპოშნიანმა.

თამაშის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე სიზოვმა ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე დაიყვანა — 96:94. ამის შემდეგ ბევრი არაფერი მომხდარა თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ ორთავე მწვრთნელმა (მოსეშვილმაც და კრაულინმაც) თითო წუთშესვენება აიღეს. 97-ე ქულა თბილისის „დინამოს“ ბარადაჩოვმა საჯარიმო სროლით მოუტანა, 96-ე ქულა მოსკოველებს კი შიშკოვმა (ასევე საჯარიმო სროლით). შეხვედრა დამთავრდა ქართველი კალათბურთელების გამარჯვებით 97:96.

დონეცკი. „შახტიორისა“ და „სტროიტელის“ შეხვედრაში პირველი ტაიმი კიეველ კალათბურთელთა უპირატესობით აღინიშნა — 54:48. მაგრამ შესვენების შემდეგ ბრძოლის ხასიათი შეიცვალა. „შახტიორმა“ შეძლო გარდატეხა შეეტანა თამაშში და გაიმარჯვა — 90:87.

მოსკოვი. ასეთ მძაფრ ბრძოლას ადგილობრივ რტი-სა და ცსკა-ს შორის ალბათ არ ელოდნენ... თვით კალათბურთელებიც. არმიელებმა წააგეს ტაიმი (37:38) და შესვენების შემდეგაც ბევრი ინერვიულეს. ბოლოს მათი მდგომარეობა მაინც გამოსწორდა და შეხვედრა სასურველი შედეგით დამთავრდა (71:69), მაგრამ გამარჯვება დიდი ვაი-ვაგლახითაა მოპოვებული.

ტალინი. რიგის ვეფ-მა კაუნასის „ჟალგირისი“ მიიღო. გამარჯვებული აქაც მატჩის მიწურულს გამოვლინდა. „ჟალგირისმა“ მოიგო შეხვედრა მხოლოდ 2 ქულით — 94:92 (44:51).

განმეორებითი მატჩები ჩატარდება 18 თებერვალს.

რჩება რვა პრეტენდენტი

როგორც ცნობილია, კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში დამთავრდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაჟთა მერვედფინალური მატჩები ჭადრაკში, რომლებიც საკმაოდ მოულოდნელი შედეგებით აღინიშნა. ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ პროგნოზირება ჭადრაკში ფრიად არასაიმედო რამ გახლავთ. თუმცა უმჯობესია გავაანალიზოთ თითოეული წყვილის თამაში.

არტურ იუსუპოვი — იან ელვესტი — 3,5:1,5.

იუსუპოვი პრეტენდენტთა წინა ასპარეზობის შემდეგ მსოფლიოს მეოთხე მოჭადრაკედ ითვლებოდა და რეიტინგიც გაცილებით უკეთესი ჰქონდა, ვიდრე ელვესტს. მატჩი თავიდანვე ესტონელი მოჭადრაკისთვის უიღბლოდ დაიწყო, შემდეგ კი მისთვის ძნელი აღმოჩნდა მატჩის მსვლელობისას რაიმე გარდატეხა შეეტანა. ერთი სიტყვით, იუსუპოვის გამარჯვება არავითარ სენსაციას არ წარმოადგენდა.

კევინ სპრაგეტი — ანდრეი სოკოლოვი — 5:4.

ეს შედეგი კი სენსაციად უნდა ჩაითვალოს. პრეტენდენტთა სუპერფინალური მატჩის მონაწილე ანდრეი სოკოლოვი ამ მომენტამდე, ფორმალურად მსოფლიოს მესამე მოჭადრაკე გახლდათ, სპრაგეტი კი მიმომხილველთა აზრით, პრეტენდენტთა ასპარეზობაში ვერც მოხვდებოდა, ამ შეჯიბრების მასპინძელი კანადა რომ არ ყოფილიყო. ამას გარდა, რეიტინგის მიხედვით სოკოლოვი გაცილებით მაღლა იდგა თავის მეტოქეზე. უკვე მატჩის დასაწყისმა გვიჩვენა, რომ მოსკოველ დიდოსტატს შარშანდელ გაზაფხულზე დაწყებული კრიზისი აქამდე გაუგრძელდა. „ძირითად დროში“ ყაიმი აღინიშნა (3:3). ორივე დამატებითი პარტიაც ყაიმით დასრულდა (4:4) და მაშინ, როცა მეცხრე პარტიაზე მიდგა საქმე, გაიმარჯვა კანადელმა მოჭადრაკემ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღეისთვის სპრაგეტი მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების პირველ ათეულში ჩაირიცხა.

იან ტიმანი — ვალერი სალოვი — 3,5:2,5.

ამ მატჩში უპირატესობა ჰოლანდიელი დიდოსტატის მხარეზე იყო. მიმომხილველები ამ ორთაბრძოლას ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო შეხვედრას უწოდებდნენ და მიაჩნდათ, რომ გამარჯვებულს, შემდგომში თვით კასპაროვამდე მიღწევის შესაძლებლობაც კი ექნებოდა. ძნელი სათქმელია, რა მოხდებოდა შემდეგ, მაგრამ მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა. ტიმანმა დაამტკიცა, რომ მისი მომზადების დონე ამჟამად უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე. მართლაც და, შარშან მან I-II ადგილები გაიყო მაქს ეივეს მემორიალში, გაიმარჯვა საზონათშორისო ტურნირში, შემდეგ I ადგილი დაიკავა ტილბურგის სუპერტურნირში, დეკემბერში მოუგო მატჩი ლიუბომირ ლიუბოევიჩს (4,5:1,5).

ასეთი წარმატება ერთ სეზონში მართლაც რომ იშვიათია. ამასთან ერთად, ჰოლანდიელ დიდოსტატს საუკეთესო ექსპერტები ეხმარებოდნენ.

სალოვმა თავის მხრივ დაამტკიცა, რომ ახლა თუ არა, პრეტენდენტების შემდეგ ციკლში მაინც ყველასათვის ანგარიშგასაწევი მეტოქე იქნება.

მატჩის პირველი ხუთი პარტია მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, თითქოს საქმე „დამატებით დრომდე“ მივიდოდა, მაგრამ მეტოქეებმა სხვანაირად განსაჯეს. ბოლო პარტიაში ორივე მხარე მოგებაზე თამაშობდა. ბედმა ტიმანს გაუღიმა.

ლაიოშ პორტიში—რაფაელ ვაჰანიანი — 3,5:2,5.

პრეტენდენტთა წინა ციკლში ვაჰანიანმა თავი გამოიჩინა და ამიტომაც ბევრი ექსპერტი მის შესაძლებლობებს უკეთესად თვლიდა. 51 წლის პორტიში ჯერჯერობით თავისი დიდი სადებიუტო ერუდიციისა და ტექნიკის იმედით, მაინც არ აპირებს ფარ-ხმლის დაყრას. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ დეკემბრის მიწურულსა და იანვრის პირველ რიცხვებში მეტოქეებს ერთად მოუხდათ რეჯიო-ემილიას (იტალია) სუპერტურნირში გამოსვლა. აქ პორტიში უკეთ გამოიყურებოდა, მან 9 პარტიიდან 1 მოიგო და 8 (!) ყაიმით დაამთავრა. ვაჰანიანმა კი 4 წააგო და 5 ყაიმით დაასრულა. ამიტომაც, გასაგებია, რომ სენტ-ჯონსში მოსკოველი (ახლა ვაჰანიანი მოსკოვში გადასახლდა) მეტი შეუპოვრობით იბრძოდა, მაგრამ პორტიშმა მაინც გააგრძელა წაუგებელი სერია. მან საბჭოთა მოჭადრაკეს 1 პარტია მოუგო, 5 კი ყაიმით დაამთავრა.

იოჰან ჰიარტარსონი — ვიქტორ კორჩნოი — 4,5:3,5.

ეს ის შემთხვევაა, როცა ახალგაზრდობამ აჯობა გამოცდილებას. ისლანდიელი დიდოსტატი თავის მრავალნაცად მეტოქე კორჩნოიზე უკეთესად თამაშობდა. მან პირველ პარტიაშივე მნიშვნელოვანი სიახლე გამოიყენა და გაიმარჯვა. ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 3:1 ჰიარტარსონის სასარგებლოდ. კორჩნოიმ მომდევნო ორი პარტია მთელი მონდომებით ითამაშა, ორივე მოიგო და ანგარიში გათანაბრდა — 3:3. პირველი დამატებითი პარტია ყაიმით დამთავრდა. მეორემ კი საერთო გამარჯვება ისლანდიელ დიდოსტატს მოუტანა.

ნაიჯელ შორტი — დიულა საქსი — 3,5:1,5.

სწორი აღმოჩნდნენ ისინი, რომლებიც ამ მატჩში დიდ ბრძოლას არ ელოდნენ. 22 წლის შორტი ახლა მართლაც მომძლავრდა. ტყუილად როდი მიიჩნია იგი კასპაროვმა ნოიერ პირველ საზღვარგარეთელ მოჭადრაკედ. შორტმა მოიგო პირველი ორი პარტია, დანარჩენი სამი კი ყაიმით დაამთავრა და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

ჯონათან სპილმენი — იასერ სეირავანი — 4:1.

ამ მატჩში სპილმენს, რომელსაც წაგებას უქადდნენ, იოლი გამარჯვება როდი მოუპოვებია. სეირავანი ხშირად აღწევდა მოსაგებ მდგომარეობას, მაგრამ ცაიტნოტში ეხლებოდა და ვერ ახერხებდა უპირატესობის რეალიზაციას.

ასეა თუ ისე, ინგლისურმა ჭადრაკმა შეინარჩუნა ამ უკანასკნელ წლებში მოპოვებული კარგი რეპუტაცია.

მაშ ასე, პრეტენდენტთა ასპარეზობის მომდევნო მეოთხედფინალური წრე მაის-ივნისში უნდა გაიმართოს. ამ 7 გამარჯვებულს მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი შეუერთდა.

შედგა წილისყრა, რის შემდეგაც მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ანატოლი კარპოვი — იოჰან ჰიარტარსონი, ნაიჯელ შორტი — ჯონათან სპილმენი, იან ტიმანი—ლაიოშ პორტიში, კევინ სპრაგეტი — არტურ იუსუპოვი.

გივი თხინვალელი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი 66486. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას ქ. 29. IX უე 05192